ბიჭო ნუ იჭერ პეპელას

ბიჭო, ნუ იჭერ პეპელას,
ფრთამალალია, ბრალი.,
კოპწია ყვავილებისა
და მინდვრის ტურფა ქალია.
სუყველას, დიდს და პატარას
უმზერის თანაგრძნობითა,
დავხსენ, თორემ ყველანი
მოგიგონებენ გმობითა.
ობლად რომ ხედავ ყვავილსა,
ე, მინდვრის განაპირასა.
სულ მუდამ ღამე პეპვლა
იძინებს იმის ძირასა.
დილაადრიან ადგება,
მიესალმება ტკბილადა
და მერე ფოთლებს უკოცნის
მოწიწებით და ფრთხილადა.
სხვა ყვავილებსაც ნახულობს,
უვლის მთელს არემარესა,
არ ეკარება ეკალსა,
შხამიანსა და მწარესა.
საღამოს ობოლ ყვავილთან
მოდის კვლავ დასაწოლადა,
შენ რომ მოუკლა, საბრალოს
ვიღა მიუვა ტოლადა?!

1911 წ.